გოჯუ-რიუ ონლაინ

აპრილი, 2023

საქართველოს ოკინავური გოჯუ რიუ კარატე დოს ფედერაციის ელექტრონული ჟურნალი

- ნატალი ბიძინაშვილი
- ძიუდო
- პიუდო
- საქართველოს ცური ჯიუ-ჯიცუში
- Dojo Challenge

საქართველოს ჯუნიორ ჯიუ-ჯიცუში

23 აპრილს თბილისში, ბრიტანულ-ქართული აკადემიის სპორტულ დარბაზში, საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ტურის ორგანიზებით ჩატარდა შეჯიბრი ბრაზილიურ ჯიუ-ჯიცუში. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა მიიღო ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე დოს ფედერაციის და "Team Zanshin"-ის წევრმა ალექსანდრე როგავამ, რომელმაც 16-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში -70 კგ კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა. მან ორი ბრძოლა ჩაატარა და ორივე გამარჯვებით დაასრულა. აღსანიშნავია საფინალო ბრძოლა, რომელიც დამატებით დროში, ოქროს ქულის პრინციპით მოიგო.

剛柔流

DOJO CHALLENGE

9 აპრილს ჰონბუ დოჯოში ჩატარდა რიგით მეორე შიდა ტურნირი "Dojo Challenge". აღსანიშნავია, რომ მონაწილეობა მიიღეს "Team Zanshin" ის წევრებმაც, რამაც მნიშვნელოვნად ასწია ტურნირის დონე. ეს ტურნირი მიზნად ისახავს სპორტსმენთა საბრძოლო ხასიათის და უნარების განვითარებას, რაც უდაოდ დაეხმარება მათ დიდ ტურნირებზე წარმატების მიღწევაში.

9 აპრილის შეჯიბრების გამარჯვებულები არიან:

ალექსანდრე ხაბეიშვილი
ნიკო ბიბილაშვილი
ნიკო რურუა
ნიკოლოზ კევლიშვილი
ნიკო ინგოროყვა
იოსი ელიშაკოვი
დავით ჭიჭალუა
ალექსანდრე როგავა

ნაცალი ჯიჯინაშვილი

საქართველოს ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე დოს ფედერაციის ადმინისტრაციული დირექტორი

მიღწევები კარატეში

- საქართველოს ჩემპიონატი კატაში, ვერცხლის მედალი, 2016
- ევროპის ჩემპიონატი, ბათუმი, ვერცხლის მედალი, 2016
- მსოფლიო ჩემპიონატი, რუმინეთი, ოქროს მედალი, 2017
- ევროპის ჩემპიონატი, პორტუგალია, ოქროს მედალი, 2018
- შავი ქამარი (I დანი)

აკადემიური განათლება

ბაკალავრიატი:

- 2013-2017 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფრანგული ფილოლოგია / იაპონისტიკა

მაგისტრატურა:

- 2017-2019 - უნივერსიტეტი ჟან მულან ლიონ III (ლიონი, საფრანგეთი), იაპონისტიკა
- 2019 - უნივერსიტეტი ვასედა (ტოკიო, იაპონია), იაპონისტიკა

ფლობს უცხო ენებს:

- იაპონური
- ინგლისური
- ფრანგული
- რუსული.

საერთაშორისო სემინარები გოჯუ-რიუ კარატეში:

- 2019 - რომი, იტალია
- 2019 - ოკინავა, იაპონია
- 2023 - რომი, იტალია

ძიუდო



ძიუდო არის იაპონური საბრძოლო ხელოვნება და ცნობილია მთელ მსოფლიოში, როგორც ოლიმპიური სპორტი. იაპონურად Ju (რბილი) do (გზა) რბილ გზას ნიშნავს. მისი დამაარსებელია კანო ჯიგორო (1860-1938), შეიქმნა 1882 წელს და მისი ფესვები გამომდინარეობს ჯიუ-ჯიცუსგან.

ოსტატ კანო ჯიგოროს ყოველთვის ჰქონდა გლობალური თვალთახედვა, მუშაობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრად და დაუღალავად შრომობდა ძიუდოს მთელ მსოფლიოში გავრცელებისთვის. ჯიგოროს ოცნება - „ძიუდოს ინტერნაციონალიზაცია“ - ასრულდა ტოკიოს ოლიმპიადაზე, 1964 წელს. ყველა იაპონელმა მებრძოლმა ოქრო მოიპოვა, გარდა ღია დივიზიონისა, სადაც ჩემპიონად ნიდერლანდელი მონაწილე მოგვევლინა. ეს უკვე ცხადი ნიშანი იყო, რომ ძიუდო იაპონიის გარეთაც ჰპოვებდა გავრცელებას.

ამჟამად ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წევრია 204 ქვეყანა და რეგიონი. სპორტი განსაკუთრებით პოპულარულია ევროპაში. იაპონია დღემდე აგრძელებს ძიუდოს პოპულარიზაციას სხვა ქვეყნებში. ამას მოწმობს ინსტრუქტორების გაგზავნის შემთხვევები რეგიონებში, სადაც ძიუდო არც ისე კარგად არის ცნობილი.

კიუდო არის მშვილდოსნობის იაპონური საბრძოლო ხელოვნება, რომელიც წარმოიშვა ფეოდალური იაპონიის პერიოდში, სამურაების კლასში და ეფუძნება kyūjutsu-ს ("მშვილდოსნობის ხელოვნებას"), რომელსაც სახელწოდება 1919 წელს ოფიციალურად კიუდოდ გადაერქვა.

კიუდოში მაღალი დონის ექსპერტს კიუდოკა ეწოდება. მშვილდს, რომელსაც ისინი იყენებენ, ჰქვია იუმი და ყველაზე გავრცელებულს აქვს ასიმეტრიული ფორმა, რომლის სიგრძეც 2 მეტრზე მეტია.

Yumi – („იუმი“, მშვილდი) - ტრადიციულად მზადდება ბამბუკისაგან, ხისაგან და ტყავისაგან, ტრადიციული ტექნიკის გამოყენებით, რომელიც საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა, თუმცა ზოგიერთმა მშვილდოსანმა (განსაკუთრებით, უახლეს პერიოდში) გამოიყენა არაბუნებრივი, ანუ სინთეზური მასალით დამზადებული იუმი.

Ya - („ია“, ისარი) - ტრადიციულად მზადდება ბამბუკისაგან, დატანებული აქვს არწივის ან ქორის ბუმბული. იას უმეტესობა დღესაც მზადდება ბამბუკისაგან (თუმცა ზოგიერთი მშვილდოსანი გამოიყენებს ალუმინის ან ნახშირბადის ბოჭკოებისგან დამზადებულ ისრებს).

დღეს კიუდოთი მთელ მსოფლიოში ათასობით ადამიანია დაკავებული. 2005 წლის მონაცემებით, კიუდოს საერთაშორისო ფედერაციას 132,760 წევრი ჰყავდა.

იაპონიის კიუდოს ფედერაციის თანახმად, კიუდოს უზენაესი მიზანია შინ-ზენ-ბი (真善美), "სიმართლე-სიკეთე-სილამაზე". კიუდოს პრაქტიკა, როგორც ყველა ბუდოში, მოიცავს მორალური და სულიერი განვითარების იდეას, თუმცა დღეს ბევრი მშვილდოსანი მისდევს კიუდოს, როგორც მხოლოდ სპორტის სახეობას, სადაც სროლის უნარი უმთავრესია.

„სწორი სროლა არის სწორი დარტყმა“. როდესაც სროლის ტექნიკა სწორია, შედეგი არის ის, რომ ისარი ხვდება მიზანს.

კიუდოს პრინციპის თანახმად, არსებობს სამი დონის უნარი:

- ისარი ხვდება მიზანს;
- ისარი ხვრეტს მიზანს;
- ისარი არსებობს სამიზნეში.

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:
ალ. როგავა, ნ. ბიძინაშვილი, ლ. ბარათაშვილი

თბილისი, ქავთარაძის 1 შეს. #10
ტელ. 995 592 050431, 995 599 464546

gojuryugeorgia@gmail.com
www.dojo.ge